



**შპს თბილისის დავით აღმაშენებლის
სასწავლო უნივერსიტეტი**

„დამტკიცებულია“

აკადემიურ საბჭოს სხდომაზე
რეექტორი ანზორ შარაშენიძე

**ინდივიდუალური სასწავლო გეგმის
შემუშავების მეთოდოლოგია**

მუხლი 1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დეფინიცია.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ) წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ცალკეული კატეგორიის სტუდენტებისათვის სასწავლო საგანმანათლებლო და საუნივერსიტეტო აქტივობებში ჩართვა და შესაბამისი სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას სტუდენტზე ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით.

მუხლი 2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მოქმედება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება შეიძლება შეეხოს: სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებს, ხანგრძლივ ავადმყოფობაში მყოფ სტუდენტებს, მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტებს, დასაქმებულ სტუდენტებს, თვითმმართველობის წარმომადგენლებს, ფაკულტეტის მოტივირებული შემადგომლობის საფუძველზე, როგორც გამონაკლისი, აკადემიური საბჭოს დადგენილებით პერსონალურად შესაძლებელია სხვა კატეგორიის სტუდენტის გადაყვანა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე.

მუხლი 3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და მისი ეტაპები.

3.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება ერთი სტუდენტისათვის და ის უნდა იყოს კონკრეტული სტუდენტისათვის განკუთვნილი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება/დამტკიცებაში ჩართულია შესაბამისი დეკანი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და ფაკულტეტის საბჭო.

3.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი 5 ეტაპისგან:

- ა) ინფორმაციის შეგროვება;
- ბ) მიმართულების განსაზღვრა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება;
- გ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელება;
- დ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადახედვა (გადათვასება) და საჭიროებისამებრ განახლება.

მუხლი 4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების და განხორციელების პროცედურა.

4.1. სტუდენტმა განცხადება და სათანადო დოკუმენტაცია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით უნდა წარადგინოს კანცელარიაში. განცხადება გადაეცემა ფაკულტეტის დეკანს, რომელიც განცხადებას და სათანადო დოკუმენტაციას გადასცემს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ამზადებს დასკვნას და უბრუნებს ფაკულტეტის დეკანს, რომელიც უბრუნველყოფს მის განხილვას ფაკულტეტის საბჭოზე. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ფაკულტეტის დეკანთან ერთად ფაკულტეტის საბჭოს გადანყვეტილების საფუძველზე უბრუნველყოფენ სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ასახვას სასწავლო პროცესში.

4.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება/დამტკიცება უნდა დასრულდეს შესაბამისი სემესტრის დაწყებიდან არა უგვიანეს 2 კვირის ვადაში.

4.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ეტაპები შინაარსობრივად გულისმობს:

ა) ინფორმაციის შეგროვებას სტუდენტის საჭიროებისამებრ, კერძოდ - ჯანმრთელობის ცნობის, ათვისებული სასწავლო კურსების შესახებ ჩამონათვალის, უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში სანოტარო წესით ნათარგმნ და დამოწმებულ დიპლომს, სამსახურის ცნობას;

ბ) შეგროვებული დეტალური ინფორმაციის საფუძველზე შესაბამისი მიმართულების (პროგრამის), სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, კრედიტების რაოდენობის, სემესტრის, სტუდენტის სასწავლო განრიგის და სასწავლო დატვირთვის განსაზღვრას;

გ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრაქტიკაში განხორციელებას ანუ დინამიური პროცესს, რომლის მონიტორინგს ახორციელებენ შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური. სტუდენტის შეფასება ხორციელდება შესაბამის პროგრამით გათვალისწინებული წესით და შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში არსებული სისტემით;

დ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადახედვას და განახლებას, რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალურ პროცესს და ახორციელდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის

მიმდინარეობის მიხედვით. ამ დროს ხორციელდება სტუდენტის მიღწევების შეფასება და განსაზღვრა, რამდენად უახლოვდება სტუდენტი დაგეგმილ შედეგს.

4.4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეცვლის შემთხვევაში, ყოველი განსაზღვრული ცვლილება დოკუმენტირდება შესაბამისი სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში.

4.5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი პროგრამის განხორციელების ხანგრძლივობას.

მუხლი 5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტი და მისი შინაარსი.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტი დგება დეკანატში ინდივიდუალურად სტუდენტისათვის, სადაც გათვალისწინებულია სტუდენტის მოთხოვნება პროგრამასთან შესაბამისობაში;

მუხლი 6. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 7. დებულების ძალაში შესვლა.

დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.

სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

სახელი, გვარი	
ფაკულტეტი	
სპეციალობა	
კურსი	
ტელ.ნომერი	
მისამართი	

N	სასწავლო კურსი	ლექტორი	თარიღები
1	პრაქტიკის კომპონენტი		
2	კვლევითი კომპონენტი		
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			

ხელმოწერა